№12834
01.08.17ნ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კონფერენციაში საქართველოს ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობის
ანგარიში

2017 წლის 19-20 მაისს, უკრაინაში, **გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კონფერენცია** გაიმართა, რომელშიც საქართველოს პარლამენტიდან ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე **ირინე ფრუიძე**, საბჭოს წევრები: **გიორგი კახიანი, კახა კუჭავა, ოთარ კახიძე** და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი **ნიკოლოზ ნათენაძე** მონაწილეობდნენ. გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კონფერენციას უკრაინის უმაღლესი რადა მასპინძლობდა.

კონფერენციაზე განხილულ იქნა პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ეთიკის კოდექსი, პარლამენტის და ღია მმართველობის პარტნიორობა, ტექნოლოგიები, სიახლეები და ინოვაციები. კონფერენციის ერთ-ერთ სესიაზე საბჭოს თავმჯდომარემ ირინა ფრუიძემ გააკეთა მოხსენება საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმასა და საქართველოს მიერ OGP-ს თავმჯდომარეობის პერიოდისთვის (2017-2018) განსაზღვრულ პრიორიტეტებზე.

საქართველოს პარლამენტის დელეგაციის წევრებმა კიევში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ შეხვედრებშიც მიიღეს მონაწილეობა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ერთი სესია საქართველოს პარლამენტს დაეთმო. ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ ირინე ფრუიძემ საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის პარტნიორობაში აქტიური ჩართულობისა და 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრა.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, „რეგიონული მრგვალი მაგიდა - პარლამენტი და მდგრადი განვითარების მიზნები“ **კახაბერ კუჭავამ** გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ისაუბრა.

ირინა ფრუიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო
საბჭოს თავმჯდომარე

4600, ქ.ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2261679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge